ნიანგი

ISSN 0132-6015

4

გამოცემის 56-ე წელი, (№ 1566)· თებერვალი, 1980, ფასი 20 კაპ·

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიხაროდეს „კაფე-თესე“, ხმები ჩიტთა მგალობელთა!
ცამ ლაჟვარდი ჩამობარდნა, მიწამ ოქრო ამობელტა!
გიხაროდეს მზით შელესვა ნაბზარის და ნაფრესკალის!
გიხაროდეს! — კამარებში კრთის ქართული ნაპერწკალი!
გიხაროდეს ოფლის წვეთი, ხეზე კვირტად გამოსხმული,
ჭიანჭველას მშვიდი ბარჯა და რაკეტა ჩქაროსნული!
გიხაროდეს საქმე შენი — ნაფუნჯარი, ნაყალმარი,
გიხაროდეს ქორწინება ამირანის და ყამარის!
გიხაროდეს! — ფეხი შენი ბედნიერად დაიბწენი!..
დაებედა ქართულ სიტყვას ვაზის ფესვი, ვაზის წვენი!
გიხაროდეს! — დროშა შენი მზეობს ომის მეხამრიდად!
გიხაროდეს!

გიხაროდეს!

გიხაროდეს ჭეშმარიტად!

პლაკატი ნ. მალაზონიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ ხარ საქართველო!

შენ ხარ საქართველო — აყვავებული და დიდებით აღზევებული! შენს გაშლილ კალთაში იბერტყება შენი მწიფე მზე, გვახარებს შენი სავსე ამბარი, შენი ბაჯაღლო შემოდგომა!..

კაცობრიობის კულტურულ შუბლზე შენი ძარღვიც ფეთქავდა და ქართველიც თვალში იწერდა, გულს ანახვინებდა ყველაფერს, რაც ადამიანს სულით ამაღლებდა!

უხვად გასცემდი და თვითონაც ცერებზე იდექი, რომ სხვისი კარგი დაგენახა, სხვაც გეძმო და გული გაგეყო!

შენ ხარ საქართველო!

შენმა შვილებმა გასახელეს, ჩემო რესპუბლიკავ! — მზე გადმოიღვარა ენგურჰესის კაშხალებიდან, ქართველი ქალის ნათალი თითები დაცურავენ ჩაის პლანტაციების მწვანე კლავიატურაზე, ქართველი კორჩაგინები მკლავებზე იმტვრევენ ციმბირის ყინვას და ყრუ ტაიგას საკუთარი სუნთქვით ათბობენ, ქართველი მეცნიერის კალამს ნებდება აქამდე უჩინარი აზრი, სამყაროს ცხრაკლიტულში შენახული საიდუმლოება!

შენ ხარ საქართველო!

წელს ზედიზედ მეშვიდეჯერ დაჯილდოვდი საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით! ამ დროშის ნათელი მარად ეფინოს შენს წმინდა სახელს, შენ მკლავსა და საქმეს!..

საყოველთაო აღმავლობით ჩაიარა შენი უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა, ხმა მივეცით შენს სასახელო შვილებს, ხვალის მზის სიკაშკაშეს, ჯეჯილის დაპურებას, მშვიდობას, ადამიანთა ბედნიერებას!..

ნიანგი მქვია და, აბა, ეს წერილი ისე როგორ დავამთავრო, რომ კბილი ისევ ზოგიერთ ნაკლს არ გამოვდო — ვიღას დავუმალო, რომ ზოგ ჩვენიანს დღესაც უსინდისობის კუზი აზის, ძველი გზიდან გადადგომა უჭირს!

მათი „კეთილდღეობა“ მათრახის ტარივით მოკლეა, დღეს თუ ხვალ სიმართლის ხელი ხალათში მისწვდებათ და, სანამ დროა, სახეზე თითო მუჭა მზე უნდა შეისხან!

მათ წინიდან უნდა ავაცალოთ სირცხვილის მღვრიე სალაფავი, ხალხის ჯიბიდან ხელი უნდა მოვაყოფინოთ და მათი სახელებიც იმ ახალ სიოზე გავანიავოთ, ჩვენი რესპუბლიკის ამერ-იმერში რომ ქრის. რადგან დღევანდელი საქართველოს საქმე და ფიქრი ბრძენის თვალით არის გაზომილი!

მტკიცე ხელმა მაგარი აპეური ამოსდო სიხარბის თავგასულობას, უსინდისობის სიჯიუტესაც ხალხმა გადაჰკრა იფნის სახრე!

შენ ხარ საქართველო!

ქართველი სატირიკოსის, იუმორისტის კალამიც ამ დიდი მოვალეობის შეგნებამ უნდა გაჩარხოს!

უკაცურებისათვის გაწნულ სილაზე უნდა გვეწეროს მათი სახელები, ვისთვისაც საქართველო მხოლოდ სიტყვაა სიტყვათა შორის და არა — ფიქრისა და ცხოვრების ამორღვეული სათავე!

შენ ხარ საქართველო!

მოყვრის ძებნაში გაუვლია შენს წარსულს, და, ბოლოს, გიპოვია — ძმობის ფერხულში ჩაბმულხარ და ძმობის სიმღერა გითქვამს, რადგან შენ ხარ საქართველო!

მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი

სალაღობო რუსთაველის თეატრის დასის სალოცდობინო გასტროლებზე

რობერტ სტურუას

შენ თქვი თეატრში „რაუნდ ჰაუზის“: „სხვა საქართველო ახლა აქ არის!“
ყველა სიძნელეს მედგრად გაუძელ!.. ხარ რეჟისორი დიდი, მაღალი!..
აღფრთოვანების თასი აგვივსე! სული ჩაუდგი შექსპირს ახალი!
ზღვა სიყვარულის გაკრავს ცარცის წრე! შენს ნიჭს დიდება! შენს პირს
შაქარი!

რამაზ ჩხიკვაძეს

შენ, — მარტო გმირი კი არა, — ზეგმირი, გმირთა გმირი ხარ!
(ამ სიტყვებს, მჯერა, არავინ ჩამითვლის პანეგირიკად!)
თუ მკითხავ, — ყველა არტისტზე უფრო ამქვეყნად ვინ მიყვარს, —
„მე შენ მიყვარხარ, რამაზო!“ — გეტყვი, ვიქცევი ლირიკად!

ყველას — ერთად

ტრიუმფით მოვლეთ ლონდონი! ხოტბა შეგასხეს ულევი!..
წამსვე გიგებდნენ გუმანით, რასაც კი დაიგულებდით!
ვარსკვლავებივით ბრწყინავდით წვიმაში თაიგულების!..
ხართ დამპყრობლები ჩვენი და ინგლისელების გულების!

თქვენი ნიანგი

ლენინმა მოიწონა

„გუშინ „იზვესტიაში“ შემთხვევით წავიკითხე მაიაკოვსკის ლექსი პოლიტიკურ თემაზე. მე არ ვეკუთვნი მისი პოეტური ნიჭის თაყვანისმცემლებს, თუმცა სავსებით ვაღიარებ ჩემს არაკომპეტენტურობას ამ სფეროში. მაგრამ დიდი ხანია არ განმიცდია ასეთი სიამოვნება პოლიტიკური და ადმინისტრაციული თვალსაზრისით. თავის ლექსში ის საშინლად დასცინის სხდომებს და საცინლად იგდებს კომუნისტებს, რომ ისინი სხდომებს არიან გადაყოლილნი. პოეზიის მხრივ არ ვიცი, ხოლო, რაც შეეხება პოლიტიკას, დაბეჯითებით ვამბობ, რომ ეს სავსებით სწორეა. ჩვენ, მართლაც, იმ ადამიანთა მდგომარეობაში ვიმყოფებით (უნდა ითქვას, რომ ეს მდგომარეობა ძალზე სულელურია), რომლებიც ნიადაგ სხდომებზე არიან, ადგენენ კომისიებს, ადგენენ გეგმებს — დაუსრულებლივ. იყო რუსული ცხოვრების ასეთი ტიპი — ობლომოვი. იგი სულ ტახტზე იყო წამოწოლილი და გეგმებს ადგენდა. მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო, რუსეთმა სამი რევოლუცია მოახდინა, ობლომოვები კი მაინც დარჩნენ, რადგან ობლომოვი იყო არა მარტო მემამულე, არამედ გლეხიც, არა მარტო გლეხი, არამედ ინტელიგენტიც, არა მარტო ინტელიგენტი, არამედ მუშაც და კომუნისტიც“. **ვ. ი. ლენინი, „საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ“, თხზ., ტ. 33, გვ. 256, თბილისი, 1953).**

ვლადიმერ მაიაკოვსკი

სხდომებსგადაყოლილნი

ყოველდღე ვხედავ, გზას რომ
    გავყურებ,
როგორც კი დილას
    გადასძვრება
ბინდბუნდის თალხი,
მთავ,
კომ,
გამ,
პოლიტ,
ზე
სამსახურებს
თუ რანაირად აწყდება ხალხი.
შეხვალ თუ არა შენობაში,
წვიმას უცქერი,
ქაღალდის თავსხმას, წარღვნად
    მოვლენილს.
აქ იღლიებში ამოჩრილი
ბლომად ფურცლებით
სხდომებზე გარბი-გამორბიან
თანამშრომლები.
გამოვუცხადებ მდივან
    ქალიშვილს:
„ადამის დროდან მოსაცდელში
მომწყინდა დგომა“.
„ვერ მიგიღებენ.
დღეს ესწრება ივან ვანიჩი
თეო[1]-გუკონის[2] საერთო
    სხდომას“.
კიბეს ავყვები.
„ვერ გაგიშვებთ ახლა
    ვერაფრით.
საათის შემდეგ.
ჯერ სხდომაა, რომელიც
    არკვევს,
თუ როგორა აქვს გუბერნიის
კოოპერატივს
სამელნეების შესყიდვის
    საქმე“.
სა:ათის შემდეგ შევაღე კარი,
არც მდივანია,
არც პირადი მდივანი გახლავთ.
22 წლის ქვემოთ ვინც არის,
ვერავის ნახავ —
კომკავშირის კრებაა ახლა.
ბოლო, მეშვიდე სართულზე
    ვარ.

ღამევ, გამიშვი,
იქნებ აქ შაინც ვცადო
    შესწრება.
„ხომ არ მოვიდა ამხანაგი
ივან ვანიჩი?“
„ან-ბან-გან-კომის
სხდომას ესწრება“.
შიგ შევიჭერი, ბევრი აღარ
დავაგვიანე,
ეზადაგზა ლანძღვა-გინების
ცრქვევით.
ვსედავ ნახევარ ადამიანებს.
ო, ჯოჯოხეთო,
რა მოსვლიათ ამ საწყლებს
    ქვევით.
სა:შინელება. ვყვირი: „ხალხი
გაჭრეს, არიქა!“
ვინება ისე ამერია,
რომ, ვგრძნობ, ასეა.
პასუხად მესმის მდივნის
    წყნარი ხმა:
„ეს ხალხი ახლა ერთდროულად
ორ სხდომაზეა.
ძალიან ხშირად ასედაც ხდება,
ძალით თუ ნებით
გაორება გვიხდება რადგან.
დღეში ვესწრებით ოცამდე
    კრებას,
წელამდე აქ ვართ, წელს
    ქვემოთ — სხვაგან“.
აღელვებისგან
დაძინების გამიქრა ნდომა,
იცისკრა კიდეც
და ეს ფიქრი მომდევს
    საგზალად:
ო, ნეტავ ერთხელ გაიმართოს
ისეთი სხდომა,
რომელიც ყველა სხდომას
    აკრძალავს!

თარგმნა ჯემალ ინჯიამ

---

1. თეო — პოლიტგანათლების თეატრალური განყოფილება.

2. გუკონი — მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული მეცნიერების მთავარი სამმართველო.

რატომ რეკავენ რისხვის ზარები?

ბევრჯერ გამომაცალა სიბრაზემ კალმის ქვეშიდან ფურცელი, მაგრამ ბოლოს თავს მოვერიე და ამ ნერილში ავაზსასვიო დავამწყდე ხალხის მრისხანენაბ!.. მახსენდება ტელევიზორის ამღვრეული ეკრანი, კრიჭა შეკვროდა კახეთს!..

ვინ არიან ეს კანიბალები, ვინ არის კაცთა მოდგმის ის სიმახინჯე, ვინც ეშმაკს ხელიდან გავარდნია და ერის ძარღვსა სწოვს, ვისაც მშობლიური სიყვარული, დედაშვილობა გაუხდია სარქენად და სატალახედ?! ბავშვი ხომ ის ნათელია, ის მადონა, რომელიც ჩვენს ერს საუკუნეთა მანძილზე ხარის შუბლზე და ხმლის ფხაზე ეწერა, რადგან მასზე იყო დამყნილი ერის მომავალი!..

ასეთები სილაზე უნდა დავსვათ, რადგან მათი არსებობა, მათი სახელი დღესაც სამონლოლოდ ხარკივით გვამძიმებს!

რამდენნი ხანია, ესა არ ამოუდგამთ ამ ზარებს, რამდენი ხანია, მზისკენ მირბის სამამულე რქა!.. ახლა რაღაც გაალვიძა საფლავში ნინა-პრები?!

ჩვენს ეროვნულ ხეს დღესაც ის ცეცმა, რომლის ტარიც საუკუნეთა მანძილზე ქართველს ეჭირა ხელში. დიდხანს ვამშვიდებ სიტყვას, რომ სტრიქონში შევიტყუო, მარტო ხალხმა კი არა, ქართულმა ენამაც მოიკვეთა მათი სახელი! დიახ, ქართულ მიწას ჯერ კიდევ აყრია მუნუკი, ჯერ კიდევ ბევრი დადის რქოსანი სინდისით.

ისიც ცხადია, რომ. ვინც მზეს შეაფურთხებს, და ბავშვის მოსატაცებლად ხელს ნაიღებს, ის მამულსაც მოუქნევს დანას!

ბევრჯერ ჩაუვლია საქართველო ჩვენი ცრემლის ალაზანს, ბევრჯერ დაადერფლინა ცეცხლს და ქარს აპკიდა ისტორიად ქართველი კაცის ნარჯვენით შექმნილი, ბევრჯერ იჯდა დევი სოფლის წყაროსთან და მშრალი კოკა წყურვილით გვეხრჩობოდა, მაგრამ სოფელს მთავარი არ დაუკარგავს — ჩოხის მასრაში ელაგა ქართული სინდისის თვალი პატრონასი და, თუ ვინმე მირონს შუბლიდან მოინმენდდა და ნაბდის ქუდს სირცხვილს შეუდგამდა, იმას სახრეზე დაანვენდა, მოიკვეთდა და მის სახელსაც უგზოუკელოდ გადაკარგავდა!.. დღესაც ასეა და ქართული სოფლის სათქმელი კაკაბეთმა ამოიძახა! უგანოა და უმანძილო ხალხის რისხვა! მძიმეა ხალხის წყევლა, მძიმეა ბოროტების უღელი!.. რა გული უწერდებოდათ მკერდში, როცა ბავშვის ტირილი კანრავდა კედლებს?! ისე როგორ დაეცინენ და ღობის მარგალიკით გახმნენ, რომ სინდისმა ერთხელაც არ დაიჩურჩულა იმ საწყვევარ ოჯახში?!

ჭეშმარიტად დიდი პირი ჰქონია სიხარბეს. მარტო ერთი მიკვირს — ეს ამოდენა გველეშაპი იქა ყოფილა და მანამდე კაკაბეთი რა ძილსა და სიხმარში იყო, რომ ვერც თავი დაუნახა და ვერც ალაპერდთან ჩაღვრილი კუდი!.. ესეც გულგრილობის სიბრმავეშ იცის — ჩემი პური ხომ ცხვება და სხვამ თავისას გინდა ყინული შეუნთოსო!..

ბევრი, ბევრი ჭუჭყი დაგროვდა! მერე კიდევ ამ მანქანების მოპარვა-გამოსყიდვა, ზოგჯერ მილიციის ახლომხედველობა და, რაკი უკაცურობამ უჩინარი კალაპოტი იპოვა, უფრო მეტი და სარგებლიანი მოინდომა!..

აი, ვის უნდა, ღრუბელი დაპკიდოს ჩვენს ცას, „ვეფხისტყაოსანში“ ტალახიანი ფეხი ჩაგვიდგას და ჭუჭყიანი პერანგი ჩაგვაცვას!

დიახ, ყველამ ერთად უნდა ვაკვთოთ დიდი საქმე, ყველამ უნდა ავამღერთ ნამგალი და სარეველას ფეხებში გამოვუსვათ. ვინც ამას არ იზამს, იმას „ქართლის ცხოვრებაში“ თვალი ვერ უნდა ჩაუვარდეს, სამშობლოს ჰაერი გულზე უნდა დაადგეს და ვერც ჩვენმა ნყალმა მოუკლას ნყურვილი!..

მზის ქვეშ დაბინდვებს ნაძირალა, ვისაც შეუძლია სამყაროს პირველ მშვენებას პირზე ხელი აიფაროს, ბნელში დაამწყდიოს და გამოსასყიდს დაელოდოს!..

არა, ასეთისთვის ყველაფერი ფუღანა, მოგებაა, სარგებელია, ასეთის ოჯახში ზეს ერთხელაც არ შეუხედავს!..

ბევრი საფიქრალი გაგვიჩინა ამ სამარცხვინო შემთხვევამ. ვისაც თავი ერის კალთაში უდევს, ახლა ფეხზე უნდა წამოდგეს, საერო სათქმელსა და საქნარში სიტყვითა და საქმით უნდა ჩაებას! უნდა ვაგრძნობინოთ ყველა გარეგარეს, რომ ხალხს რისხვა ქარ-ცეცხლივით დაენევა და არა მარტო მათი სახე ამოიშლება ხალხის თვალიდან, მათი გვარ-სახელიც ამოიფხიკება ერის რჯულის წიგნიდან!..

მუდამ ასე ყოფილა და ნურც ახლა გაგვიკვირდება — ქინჭარი ცელსა და მცელაეს მაშინ ჰკენნა, როცა ძირს დასაცემად ნაბარბაცდება ხოლმე. ახლაც ასეა — ხალხის, პარტიის მძლავრმა ხელმა, ძველი ნაკლის დაძლევის მგკიცე ურვილმა, ახალმა ცეცხლმა და მხურვალებამ აშალა და აანიკლა მორიელების ბუდე. საზოგადოების ამდაგვარი გამონვევა რით მთავრდება ხოლმე, ესეც კარგად უნდა იცოდნენ იმათ, ვინც განიერ ვარცლს ჩასხდომია და შავი ცომივით უზელს სირცხვილს საქართველოს!..

დიახ, მკითხველო, ბატონო და პატრონო ჩვენი რესპუბლიკისა, სრულიად საქართველოს ამაყო შვილო, არ არსებობს გარჩევა დიდი და პატარა ნაკლისა, რადგან პატარა მუდამ პატარად არა რჩება, იზრდება, სივდება და მერე კიდევ სხვასა და უფრო დიდ ბოროტებას დაუდგება სათავედ, ამიტომ, ვისაც რესპუბლიკის სახელი რაიმედ ეღირს, დღეს განნე არ უნდა იდგეს!

ერი რომ ზარს ჩამოაკრავს, ეს განგაშის ნიშანია და ძუდნე კაცი უნდა გამოვიდეს!..

ასე ყოფილა მუდამ!..

ასეა ახლაც!..

ამიტომ რეკავენ რისხვის ზარები!..

ჯემალ აფციაური

ნახ. ვ. აბაშიძისა

— ოჯი ფილია სამკაცრალვამში მუმამს და დაუმკარდგეოლ ენა, აბა, რა იანგამოს?!

ორეული

ეს სტერა ყერ იქნება
ტკბილი, როგორც ფოლეული! —
ორეულზე მოგაბსენებ
კაცი — ბოლმაძორეული:

მატარებლის ბილეთს ვიძენ,
მგზავრი მქვია მორეული;
არდალიეთან წინ დამხვდება
იმ ბილეთის ორეული!..

ავტობუსით მსურს მგზავრობა, —
უნდა ვნახო ცოლეური, —
ცხვირწინ ამიფრალდება
ჩემი ნომრის ორეული!..

თეატრშიაც (დიახ, ფაახ!)
არ ეგეგონოთ ჭორეული, —
მარაოთი ნიავდება
მშვენიერი ორეული!...

კინოდარბაზს მოვალგები
უკეე საქმემოლეული, —
ჩემს ადგილს არბეინად
კინფეტს წუწნის ორეული!..

დაწრიალებ აქეთ-იქით,
დაძლეული, მორეული:
შენ დაჯდე და ის აკადო, —
უნდა იყო ღონეული!

ორეულებს ენოსეთაც ეცნობ,
ეითოთ იყენენ თონეული
და, მეონია, ჩემს მაგივრად,
დადის ჩემი ორეული ..

ოთარ შალამბერიძე

ნაქებია

დირექტორის — ხმა,
სტილოგაას — თმა,
მეცხვარის — თვალი,
ფერმის გამგის — თლა,
მზარეულის — ნვა და ვიში,
ოფიციანტის — ანგარიში.
რედაქტორის — პირობა,
ზღვათა — უნაპირობა,
ყალთაბანდის — შვილობა,
ქუნნის — ხელგამლილობა,
მოჭიდავის — ფანდი,
არაკაცის — კვანტი.

შ. ნ



ნახ. ვ. კუციაკი

— ხომ ხედავ, რამდენი „სპარტი“ აქვს ჩემს მანქანას?!
— ყველაზე დიდი „სპარტი“ ისაა, შენი ხელფასის კატრონმა რომელ იყიდე ეს მანქანა?!

ია კონია ხომ საოცრებათა ქვეყანაა! საოცრებათა ქვეყანა ხომ არ იყოს, სოფის გურიამდე როგორ გადაცლეულიდა? გურიაში სოფის დღესაც ია კონიას ეძახიან. ჰოდა, იმ იაპონიაში, ერთ ქალაქში, ერთი დალაქი, სახელად ხოხო ცხოვრობდა. დალაქი ერქვა, თორემ თავისი საქმისა არც ერთი ფერი ეტყოდა და არც არა გაეგებოდა რა. ისე კი დიდად ნაკეთი და გაპარსული ეგლდადა, წარმოსადეგი, ბიჭალი, მხარეჭიანი. ცოტა დონდღლო კი იყო. ლაპარაკიც გვარიანი იცოდა და რამდენმე ენაზე უმეცდიმოდ მეტყველებდა. ხელობას ვერ იყო დაუფლებული და ეს თვითონაც კარგად უწყოდა. სწორედ ამიტომ იმდენი ინანილა, რომ დალაქობას თავი მიანება და დალაქების კონსულტანტად დადგა.

რადა თქმა უნდა, მისმა ასეთმა მოულოდნელმა ალნევებამ ქალაქის დალაქები განაცვიფრა, მაგრამ დაწინაურებულნი ამას როდი დაგიდევენ. რაკი კონსულტანტობა იკისრა, დალაქებს სწორედ იმას ასწავლიდა, რაც თვითონ არ იცოდა. მოგეხსენებათ, ჯერჯერობით, ჭკუის სწავლება და ჭკუის დარიგება ყველაზე ადვილი რამაა. სინამდვილეში ხომ არაფრის დარიგება გიხდება. ამ დალაქცილმა მეცნიერებმა მთავარზე გასაფრენი და იქ მოარული გონიერი მანქანა შემქნეს. მაგრამ ჭკუის საზომი ჯერაც არ გამოუგონებიათ! გულისცემის საზომი არსებობს, არსებობს უხილავი წნევის საზომიც, მხედველობის, სიცხის და, ერთი სიტყვით, ყველაფრის საზომი, გარდა ჭკუისა და სიყვარულისა, მაგრამ, ალბათ, ასეთი ხელსაწყოს გამოგონება გამომგონებელებსაც არ დაეყარის ხვრის და ამისათვის თავს არავინ იტკივებს. თუმცა, ისევ ამბავს მივუბრუნდეთ:

განსაკუთრებული ამ საქმეში სწორედ ის იყო, რომ ხოხოს თვითონ ერთხელაც არავინ გაეკრიჭა, მაგრამ იმ დალოცვილ ენას ხომ ძალი არა აქვს და ენით, რასაც გინდა, იქმ. ჰოდა, ისიც იქმოდა: გაუჩერებლად ასარსალებდა და ატარტალებდა ენას და ჰარეს სულ „ალა გარსონ!“, „ფანტაზია“, „ახალგაზრდელი“, „გაზაფხული“, „ხალა“, „ყოველდღიური“, „ეკმრო ვაკ!“, „მოდი, ენახე!“ და ვარცხნილობის კიდევ სხვა სოცარი სახელები ეეკრა. ეს სახელები კი კარგად იცოდა და სრული ეფექტის მოსაბდენად სხვადასხვა ენებზე წარმოთქვამდა. ქალაქის დალაქთა გაერთიანების კონსულტანტობას რომ თავი ასე წარმატებით გაართვა, დალაქთა შემოქმედებითი კავშირის უფროსად დაწინაურეს. შეთავაზებულ პოსტზე ერთი უარიც არ უთქვამს, ასე გასინჯეთ. არც კი განაზებულა, ასეთ დროს უარი არ სჩვეოდა და ჩვეულება ხომ რჯულზე უმტკიცესია.

დანიშვნისთანავე დაუკბრომეელი შემოქმედებითი მუშაობა გაშალა, ყველაფერი მიმალ-მოშალა, წაშალ-წამოშალა და ჩაშალა!.. როცა გაუგეს, დიდხანს ალარ ამოგინეს და ანდერძი აუგეს.

მან კი იხტიბარი არ გიიტეხა, ყველაფერი თქვა. ცარიელი სიტყვებით წინათ სხვებს აჯერებდა, ამჯერად თავისი ნათქვამი მოლაპარაკეთ თვითონ ირწმუნა და თქმაზე — „კაცმა როგორ უნდა უხელმძღვანელოს შემოქმედებით

ბლოფლიოს ჟერვე საოცრება

არსებობს უხილავი წნევის საზომიც, მხედველობის, სიცხის და, ერთი სიტყვით, ყველაფრის საზომი, გარდა ჭკუისა და სიყვარულისა, მაგრამ, ალბათ, ასეთი ხელსაწყოს გამოგონება გამომგონებელებსაც არ დაეყარის ხვრის და ამისათვის თავს არავინ იტკივებს. თუმცა, ისევ ამბავს მივუბრუნდეთ:

განსაკუთრებული ამ საქმეში სწორედ ის იყო, რომ ხოხოს თვითონ ერთხელაც არავინ გაეკრიჭა, მაგრამ იმ დალოცვილ ენას ხომ ძალი არა აქვს და ენით, რასაც გინდა, იქმ. ჰოდა, ისიც იქმოდა: გაუჩერებლად ასარსალებდა და ატარტალებდა ენას და ჰარეს სულ „ალა გარსონ!“, „ფანტაზია“, „ახალგაზრდელი“, „გაზაფხული“, „ხალა“, „ყოველდღიური“, „ეკმრო ვაკ!“, „მოდი, ენახე!“ და ვარცხნილობის კიდევ სხვა სოცარი სახელები ეეკრა. ეს სახელები კი კარგად იცოდა და სრული ეფექტის მოსაბდენად სხვადასხვა ენებზე წარმოთქვამდა. ქალაქის დალაქთა გაერთიანების კონსულტანტობას რომ თავი ასე წარმატებით გაართვა, დალაქთა შემოქმედებითი კავშირის უფროსად დაწინაურეს. შეთავაზებულ პოსტზე ერთი უარიც არ უთქვამს, ასე გასინჯეთ. არც კი განაზებულა, ასეთ დროს უარი არ სჩვეოდა და ჩვეულება ხომ რჯულზე უმტკიცესია.

დანიშვნისთანავე დაუკბრომელი შემოქმედებითი მუშაობა გაშალა, ყველაფერი მიმალ-მოშალა, წაშალ-წამოშალა და ჩაშალა!.. როცა გაუგეს, დიდხანს ალარ ამოგინეს და ანდერძი აუგეს.

მან კი იხტიბარი არ გიიტეხა, ყველაფერი თქვა. ცარიელი სიტყვებით წინათ სხვებს აჯერებდა, ამჯერად თავისი ნათქვამი მოლაპარაკეთ თვითონ ირწმუნა და თქმაზე — „კაცმა როგორ უნდა უხელმძღვანელოს შემოქმედებით

ქაკვშირებს“ — დისერტაცია გამოაცხო. გამოაცხო და დაიცვა. დაიცვა, აბა, არ დაიცვადა? მისმა ცოლმა დაიკონა, ეს მეტად საჭიროაო, ერთთავად იმას ჩასჩიჩინებდა, დაიცვი, დაიცვეთ და დაიცვა. რომ არ დაეცვა, არ იქნებოდა! სხვებმაც ურჩიეს, აუცილებლად დაიცვეთ! თვითონაც იფიქრა, ეს ღირსების საქმეაო და დაიცვა. დაიცვის დროს თავში არავის მოსცლია აზრი, ეკითხათ: ამ საქმეს თუ ისე კარგად იქნობ, რომ დისერტაციას იცავ, მაშინ რატომ გაგათავისუფლეთ, თორემ პასუხი მზად ჰქონდა: ამ თემაზე დისერტაციას სწორედ იმათ გამოსაჯავრებლად ვიცავ, ვინც გამათავისუფლეთ. ყველას უნდა დავუმტკიცო, რომ ეს საქმე ამქვეყნად ყველაზე კარგად ვიცი და გაუგებრობისა და შურის მსხვერპლი შევიქენინო.

ნეტარ არიან მორწმენენი, რამეთუ სჯერათ!

სინამდვილეში ყველამ კარგად იცის, რომ მიეხვდნენ, გაუგეს და ანდერძიც აუგეს!

... სოიის გურიაში დღესაც ია კონიას ეძახიან. ჰოი, საოცრებავ!

ე. ქაკვანდიანი

ქართული სატირულ-იუმორისტული ფოლკლორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეკრთამე

კოტე შუკაკიძემ გედევან ბედიანიძეს ვენახი გადაუკრიფა. ამ უკანასკნელმა უჩივლა. სანამ სასამართლო შედგებოდა, გედევანმა მოსამართლეს ძღვნად ერთი ჩაფი ორნახადი მიართვა. ეს რომ კოტემ გაიგო, ჩააბა თოკი მოზვერს რქებში და მოსამართლეს მიუყვანა.

შედგა სასამართლო. მოსამართლემ მოზვრის მიმყვანი გაამართლა, ორნახადის პატრონი კი გაამტყუნა.

— კაცო, არა გრცხვენია?! რისთვის გამამტყუნე, განა მაგიტომ მოგიტანე იმხელა ჩაფი არაყი? — უსაყვედურა გედევანმა მოსამართლეს, როცა დაიმარტოხელა.

— რა ვუყო, ძმაო, ჩემი ბრალი არაა, შენს ჩაფს მოზვერმა რქა ამოკრა და იქვე მიაფშვნა! — მიუგო მოსამართლემ.

შემთხვევა დუქანში

საჩხერის დუქანში ჭაბუკები სადილობდნენ. შფოთისთავმა აზნაურმა ნიკო ფალავანდიშვილმა კარს ფეხი ჰკრა, შევიდა და შესძახა:

— ვინ არის აქ დეკანოიძე?

— მე ვარ! — უპასუხა ერთმა ჩაპუტკუნებულმა ჭაბუკმა.

ამის თქმა იყო და ფალავანდიშვილი მივარდა, ჯერ ერთ ლოყაზე გააწნა სილა, მერე — მეორეზე.

— ჰი, ჰი, ჰი! — აქირქილდა ჭაბუკი, ფალავანდიშვილი რომ სასადილოდან გავიდა.

— რა გაცინებს? — ჰკითხეს.

— ვაჭამე იმ შტერს, მე არა ვარ დეკანოიძე!

მებატონის პირობა

იაგორა ასანიძემ ბაძულა სამხარაძეს იჯარით ორი ქცევა მიწა მისცა, თან ასეთი პირობა დაუდო:

— ხუთ ურემ სიმინდს რომ მოიწევ, ორი ურემი შენ წაიღე და სამი მე მომიტანე!

შემოდგომა მიილია, მოსატეხი მოიტეხა, მოსაკრეფი მოიკრიფა, იაგორა მიადგა ბაძულას კარზე:

— რა ჰქენი, კაცო, ჩემი წილი სიმინდი რატომ არ მომიტანე?!

— ბატონო იაგორა, თქვენ ხომ მითხარით, ორი ურემი შენ წაიღე, სამი მე მომიტანეო? ჰოდა, წელს გვალვა იყო, მხოლოდ ორი ურემი მოვიდა და მე ნავიღე, შენთვის მოსატანი კი აღარ დარჩა.

ასტრონომი

რევოლუციური გამოსვლებისას ერთი ასტრონომი დაიჭირეს და პოლიციაში წაიყვანეს.

— მე მეცნიერი ვარ! — განაცხადა მან.

— რისი მეცნიერი ხარ, რა გააკეთე?

— ვარსკვლავი აღმოვაჩინე.

— ჰაიტ, შე აფერისტო! მაგას რა აღმოჩენა უნდა, ზეცა ყოველღამ ვარსკვლავებითაა მოჭედილი! — შემოუძახეს მას.

კაფია მღვდელზე

მაღარესკარში ყოფილა მღვდელი, გვარად ბაიაშვილი, ლოთი და პირისგემოს მოყვარული. ერთ გლეხს იგი დიაკონთან ერთად შინ მიუწვევია, შვილს მოვანათვლინებო. მღვდელი ნათლობაზე დამთვრალა და კოდში პირუსაქმებია. იქ დამსწრე მეზობელს დიასახლისისათვის მიუმღერია:

ცოტა არაყ ჩამოგვისხი,
ჩვენო ძალო მზექუაო!
დიასახლისი
მღვდელმა კოდში ჩააყენა,
ხვალ დილაზე გამუაო.
მეზობელი
დიაკონო, გირჩევნია,
შინ ნახვიდე მარტუაო,
მღვდელს არაყი ეგულება,
ხვალ დილამდე არ მუაო.
დიასახლისი
ე, ბალანა ვერ მოვნათლე,
გული ქმარს რით დავუამო?!
მე შვილს აღარ ვიყოლიებ,
სანამ სხვა მღვდელ არ შუაო.

გალექსებანი

თავჩობანისა

ჩვენს თავჩობანს ნუ ანუხებთ,
ავად არის ყოველ დღესა,
გარეთ გასვლას ნუ უხსენებთ,
თორემ აუტყდება კვნესა.
ღამე უნდა წყნარად იყოთ.
ძილი რომ არ დაუფრთხესა,
ნუნკი ძაღლი ვერ სჯობია,
შიგ გუდაში გვიჭამს ყველსა.

უსაქმურისა

ჩაისა სვამდი, ტკბილ იყო,
პაპიროს რაღად გინდოდა?!
ლუკმა აღარ გაქვს, ხილს ეძებ,
ტყეებში დახვალ შვინდობას!
შენზე ნამდვილად ახია,
კაცმა არ გკითხოს მშვიდობა!

ზარმაცი ცოლისა

ღმერთო, ნუ მისცემ ვაჟკაცსა
ცოლსა ზარმაცს და მძინარსა,
ის მოკლავს, ის დააბერებს,
ის მისცემს წყალსა მდინარსა!...

გაქალაქელებული ძმისა

უნდა მოგწერო სოფლიდან
მოკლე ლექსების ბარათი;
დაგვტოვე აცრემლებული,
წახვედი ქალისქალათი!...
როგორ შეეწყვე მანდ ყოფნას,
როგორი არის ქალაქი?
აღარ გაივლი ტყეშია,
არ დაგეხევა ხალათი.
დადიხარ ტროტუარზედა,
ქალაქის მტვერით ნალაქი,
ვიცი, რომ მოგაგონდება
სოფლის პურ-ღვინო, კარაქი,
ჭინჭარი მაინც მოხარშე,
მანდ ადრე მოვა ბალახი!

წკიპურტები

მეფრინველეობის ფერმის ზოგიერთ მუშაკს

ვარიაცა და ყვინჩილაც,
ვიცით, რომ გემრიელია,
რა გაამრავლებს ქათამსა,
თუ მომვლელად ჰყავს მელია?!

ზოგიერთ მწველავს — რძის ფალსიფიკატორს

ვაშა „შენს საქმეს“, მწველავო,
ჩამოგდის ოფლის ღვარია,
ჩვენ ისეთი რძე რად გვინდა,
თუ ნახევარი წყალია?!

თევზის დაცვის ზოგიერთ ინსპექტორს

ბევრი რამე მაქვს სათქმელი,
მაგრამ პირი წყლით ივსება,
ყველაზე უკეთ შენ იცი
ქლორის და დენთის ღირსება!

ზოგიერთ მეტყევეს

ტყისთვის რომ გული „შეგტკივა“, --
ვერავინ აგიხირდება,
ტყე რომ ტყედ დარჩეს, ძმობილო,
დაცვა შენგანაც სჭირდება!

ანდაზები

● აბდალავ, თოვლი მოდისო, და — აკი ვდგავარ და ვძიგძიგებო!

● არცრა შენ იყავ, ხოხაო, არცრა მაყრები მოგყვაო.

● აქლემმა თქვა: თოთხმეტი კოზაკი გავზარდე, მაგრამ მე ჩემი საპალნე არ შოშეშვაო.

● ბერო, ცოლსა გრთავენო და — მეც ეგ მინდაო!

სიტყვის თქმა რომ გინდოდეს, ჯერ გამგონი გასინჯეო.

უნამუსო ვირზე შესვეს, „აცე, ვირო!“ დაიძახაო.

შოლტი ისე უნდა მოიქნიო, რომ ძეხვე არ მოგხვდესო.

● წუწურაძი კაცის ღვინო კაჭკაჭს დააჩხავლებსო.

წუნია პატარძალი უქმრობითა კვდებოდაო.

რაც არ უნდა მინდისაო, ყურში ძძიმედ მისდისაო.

● ჭინჭრაძა გულაღმა დაწვა: ცა რომ ჩამოინგრეს, ფეხებით დავიჭერო.

შეკრიბა ნოდარ შამანაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ბ. ლომაძისა

გამალებული შეიარაღების გაფართოებასთან დაკავშირებით დიდი ბრიტანეთის კონსერვატიულმა მთავრობამ 100 მილიონი გირვანქა სტერლინგით შეკვეცა ჯანმრთელობის დაცვისათვის გამოყოფილი თანხა.

მარტო ლონდონში დაიხურება 10 საავადმყოფო.

რაკეტა-საკეტი

პრეზიდენტის სადილი არც ისე მსუყე

სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი პატარა ქვეყნის (ასეთი იქ ბევრია) პრეზიდენტმა სადილის წინ თავისი მზარეული იხმო და რამდენიმე პრაქტიკული ხასიათის შეკითხვა მისცა:

— მითხარით, რამე ხორციანი თუ გაქვთ დღეს?

მზარეულმა ხელები გაასავსავა.

— მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ქვეყანაში დამზადებული ხორცის მთელი მარაგი შტატებში გავგზავნეთ!

— რძის ნაწარმზე როგორა გვაქვს საქმე? — დაინტერესდა პრეზიდენტი.

— რძის დამუშავებას ხომ შეერთებული შტატების მონოპოლიები აწარმოებენ და, რაღა თქმა უნდა, მთელ ვარგის პროდუქციას იქ გზავნიან!

— ხილი ხომ მაინც გვაქვს უხვად?

— ხილიო?! რასა ბრძანებთ, ბატონო პრეზიდენტო?! განა თქვენ არ მოაწერეთ ხელი კონტრაქტს ნიუ-იორკელ ბიზნესმენებთან ჩვენს ქვეყანაში დამზადებული მთელი ხილის მათს განკარგულებაში გადაცემის შესახებ?!

— მაგრამ, სამაგიეროდ, ისინი სხვა რამეებს გვაძლევენ! — იხტიბარი არ გაიტეხა პრეზიდენტმა.

— დიახ, ტანკებს, ზარბაზნებს, ავტომატებს, რომლებიც ასე სჭირდება ჩვენს ძლევამოსილ და მამაც ჯარისკაცებს! მათ ხომ დღენიადაგ უწევთ მუშათა დემონსტრაციებისა და სხვა ამგვარი უწესრიგობის წინააღმდეგ ბრძოლა?! კაცმა რომ თქვას, ბატონი ამერიკელების წინაშე ვალშიც კი ვართ: განა ტანკის გაკეთება უფრო ძნელი არ არის, ვიდრე, ვთქვათ, ვაშლის მოკრეფა ან ძროხის მოწველა?

— დიახ! ჩვენ ბევრი იარაღი გვჭირდება და ვღებულობთ კიდეც მას! — გუნება გამოუკეთდა პრეზიდენტს, მაგრამ კუჭმა კვლავ შეახსენა თავი და ხელახლა მიუბრუნდა მზარეულს:

— ყავა ხომ გაქვთ?

— დიახ, ბატონო პრეზიდენტო, ამ დილით ვიყიდე ამერიკულ მაღაზიაში!

— მაშ, მომიტანეთ ფინჯანი ყავა და არ დაგავიწყდეთ, მოაყოლოთ რომელიმე წიგნი ჩვენი ქვეყნის გმირული ისტორიიდან, მინდა ცოტა დავისვენო!

ჯორჯი

ნიანგს უპასუხებენ

№ 186 26.III 80

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს:

„ნიანგის“ მე-14 ნომერში დაბეჭდილი კრიტიკული წერილი — **„არწივის ირაოდახ“** — ამხელდა ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის მშენებლობის გაჭიანურების ფაქტს.

სამშენებლო ორგანიზაციის (მექანიზებული კოლონა № 70) მოუქნელი მუშაობის გარდა, ფაბრიკის მშენებლობის გაჭიანურებას ხელი შეუწყო ზოგიერთი საპროექტო გადაწყვეტილების დაგვიანებით მიღებამ და რთულ გეოლოგიურ პირობებში მუშაობამ.

სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ მშენებლობის დასაჩქარებლად გაატარა ღონისძიებები.

საქართველოს კპ ხაშურის რაიკომს:

21-ე ნომერში სათაურით — **„ერთი აძბავი“** — დაბეჭდილ წერილში მოტანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. მეცხოველეობის კომპლექსის მშენებლობის დროულად დაუმთავრებლობა გამოწვეული იყო სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მე-9 ტრესტისა და ხაშურის სამეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს სუსტი მუშაობით.

რაიკომის ბიურომ იმსჯელა წერილში მოტანილი ფაქტების შესახებ და დასახა ღონისძიებანი ხცისის რძის წარმოების კომპლექსის მშენებლობის დამთავრებისა და პირუტყვის დაცემის ლიკვიდაციისათვის.

ბიურომ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს წინაშე დააყენა საკითხი, რათა ერთობლივად, კომისიური წესით, შემუშავდეს გასატარებელ ღონისძიებათა გეგმა და განისაზღვროს მშენებლობის დამთავრების ზუსტი დრო.

თბილხილბოსტანვაჭრობის მუშამოსამსახურეთა პარტიულ-სამეურნეო მუშაკთა საქალაქო კრება

კრებას ესწრებოდნენ თბილხილბოსტანვაჭრობის აპარატის მუშაკები, რაიგანყოფილებათა დირექტორები, აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო რესპუბლიკური გაერთიანების, ვაჭრობის სამმართველოს თანამშრომლები, მსხვილი სავაჭრო ობიექტების ხელმძღვანელები.

კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის სავაჭრო-საფინანსო განყოფილების გამგემ **თ. კაპანაძემ,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ **გ. ყიფიანმა,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარემ **დ. მაღალაშვილმა.**

კრებამ განიხილა „ნიანგის“ 1979 წლის 22-ე ნომერში დაბეჭდილი წერილი — **„მოკითხვითა და ნახვის ნატვრით“,** რომელშიც გაკრიტიკებული იყო თბილხილბოსტანვაჭრობის მუშაობა და კრიტიკა სამართლიანად ცნო. კრებაზე აღინიშნა, რომ წერილში გამოთქმული შენიშვნები მხოლოდ ნაწილია იმ ნაკლოვანებებისა, რომლებიც სავაჭრო ქსელში არსებობს.

კრებაზე გამოითქვა ბევრი მოსაზრება და რწმენა, რომ განხორციელდება ყველა ღონისძიება, რათა თბილხილბოსტანვაჭრობა ჩადგეს რესპუბლიკის მოწინავე ორგანიზაციათა რიგებში, მიაღწიოს ვაჭრობის მაჩვენებელთა გაუმჯობესებასა და მეთოდების სრულყოფას.

ონის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის:

„ნიანგის“ გასული წლის მე-19 ნომერში დაბეჭდილ წერილში — **„იცით თუ არა თქვენ, რომ?..“** — გამოთქმული კრიტიკა ჩვენი რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მიმართ სამართლიანია.

სამრეცხაო საამქრო საკურორტო ზონაში, ძირითადად, ემსახურებოდა კურორტებს — უწერასა და შოვს, სასტუმრო „რაჭას“, მოსახლეობას კი ნაკლებად უწევდა მომსახურებას. გატარებულ ღონისძიებათა შედეგად წელს მდგომარეობა გაუმჯობესდება, ხოლო, რაიონის განვითარების პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებული აბანო-სამრეცხაო კომპლექსის აშენების შემდეგ, რაიონის მოსახლეობის მომსახურება ამ მხრივ უზრუნველყოფილი იქნება.

7-1980 80-186
ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოძველებული თემა“

პოლიტიკური პამფლეტი

ოცდაათ წელზე მეტია, რაც ომმა სისხლიანი კარი მიიხურა, ზარბაზანმა ცხელი ტუჩები მოილოკა, მაგრამ ჯერ კიდევ არ შეუკრავს პირი ძველ ჭრილობას, ჯერ კიდევ არ გაუხდია ჩექმები ომის ღმერთს, გაიხადა კი არა, მსოფლიო შუაზე გაფხრინა და „ჰარტიანკებად“ შემოიხვია შიშველ ფეხებზე. ამიტომ დღესაც ბევრის სასწავლი გაკვეთილია „დიდი სამამულო“, მაგრამ, აბა, იმათ ჰკითხე?! — წარსული ომის თემა მოძველდა, ახლა ვიღა ომობს ისე?! პენტაგონიც „ცივილიზაციის ქომაგია!“ — ვიეტნამი, ჩილე, პალესტინა, კამპუჩია, ირანი თუ ავღანეთი ისეთი დელიკატესია, მისტერ ამერიკა ლამის ნერწყვმა დაახრჩოს! „ფანტომთანაც“ „მესერშმიტი“ უწყინარი ბელურაა, მკვლელობის ტექნიკაც ბევრად უფრო დაიხვეწა — იჯექი შენთვის რბილ სავარძელში, ლეჭე რეზინი და მშვიდად ჩამოყარე ნაპალმი — თუ მინა ინვის, „ო, კეი“, თუ არადა, პენტაგონს იმდენი ბომბი უწყვია ომის საწყობში, თვლა არა აქვს! დოლარიც შავი დედალივით იმიტომ გაიჭინთა და ნეიტრონის ბომბი კვერცხივით დადო, რომ სიკვდილი უფრო მასშტაბური იყოს, თორემ, აბა, ის რა არის — ათასობით კაცი ავტომატით დაცხრილო, კრემატორიუმში გამოსწვა, გაზის კამერაში დაახრჩო?!.

ამერიკელი სერჟანტიც მასწავლებლად გამოადგება გერმანელ ფელდფებელს, ანტიკომუნიზმი მხარზე ავტომატივით ჰკიდია და, საითაც დოლარს გადაუგდებენ, ბულდოგივით იქით შეუღრენს, მშვიდობიან სოფელს ცეცხლს წაალებინებს!..

აი, თუნდაც პინოჩეტი: ხუთი წელია, ძაღლივით აბია ჩილეს კარებთან, მთელი ქვეყანა სასაფლაოდ აქცია და ამერიკელ კონცერნებს ძველი ადგილი მოაძებნინა. ეს ბებერი პოლკოვნიკიც ჩილეს ისტორიაში მისტერ ამერიკამ ყუმბარასავით შეაგდო და თან ისიც ასწავლა, დემოკრატია როგორ დაეყენებინა სახრჩობელის ქვეშ, მაგრამ ეშმაკს ანგელოზის ნიღაბი ველარ მოერგო! სადათიც ამერიკულ სამზარეულოში გამოცხვა ანტიკომუნიზმის ნელ ცეცხლზე!..

„ომი საბჭოთა კავშირს სურს“! — ასე რომ არ იყოს, არც ავღანელი ხალხის მისკენ გამოწვდილ ხელებს შეხედავდა, არც მის თხოვნას შეუშვებდა ყურში, ამერიკული დიპლომატია კი იქ ანთებულ კოცონს ხმელ ფიჩხს დააყრიდა, რომ თვითონაც კარგად მოეთბო ხელები. ასეა, „საბჭოთა კავშირი აქაც ტყუის“ — ავღანეთი ხის კავს გადააგდებს და ტრაქტორს მიუჯდება, გლეხი ძონძებს გაიხდის და რევოლუციის ცეცხლს გადაუყრის, საბავშვო ბაგები გაჩნდება, ადამიანის უფლება კონსტიტუციაში ჩაიწერება და ფეოდალური წყობის ამ აზიურ მუზეუმსაც ისტორია ფანჯრებს ჩაულეწავს, რომ შიგ ახალი ცხოვრების მზე და მახარობელი შეუშვას!..



ეს კიდევ იქით იყოს და ახლა ირანისა ვთქვათ — დამხობილი შაჰიც ამერიკულ დიპლომატიას ძირმაგარასავით აზის, თეირანის გამოკეტილ საელჩოშიც სიმართლის თვალმა შეიხედა და დაინახა, რომ თურმე ქათმის საბუდარში ქორი იჯდა!..

ჰიტლერული ფაშიზმი ველურის კეტი და ქვის ნაჯახია, არც ევროპაა სავანის ბიზონი, რომ ყველას თვალწინ ტყავი გახადო! ამიტომ მკვლელობის მეთოდი შეიცვალა — როცა „ბებერ დოლარს“ კრიზისის სიცხე დააჭერს და ავადმყოფი „ფრანკი“ და „სტერლინგი“ აკვნესდება, მაშინ ყვითელი ეშმაკი ისევ ომის ცეცხლზე უნდა გათბეს და ონავარი ფანტომი მშვიდობის მტრედს ქორივით კუდზე გამოება, მაგრამ ამ ომებსაც კათოლიკური პირჯვარი სწერიათ!.. სომოსა და მისი ხროვა ნაგავივით გაიტანა ისტორიამ ნიკარაგუადან და ამერიკაში დაყარა, პინოჩეტიც ამერიკელი ძიძის გაზრდილია, სადათის ფარაონობაც მისი მოგონილია, ყველას ანტიკომუნიზმის სალესავზე აქვს ფხა აწყობილი...

„სამამულო ომის თემა მოძველდა...“, დღეს ფაშიზმი უფრო დახვეწილია, უფრო თანამედროვე. ძია სემი და მისი მარიონეტები პაპივით უცოდველნი არიან! მხოლოდ ეს არის — წითელი ფერი თვალებსა და გონებას ერთად უმღვრევთ, ამიტომ თვალებზე ხელებაფარებულნი დადიან ისტორიის გზაზე.

ახლო აღმოსავლეთი — ეს მშვიდი ფური დოლარს იწველიდა. მაგრამ ბოლო დროს „კომუნისტებმა მასაც წიხლი ასწავლეს!“

ამერიკა მშვიდობას ეძებს და ვერ უპოვია, „წითელი კრემლი თეთრ სახლს ემუქრება“, ინგლისშიც ჩერჩილის აჩრდილი დადის და დოგივით კმაყოფილ კონსერვატორს ბრიტანეთის ლომის ფიტული გულს ურევს!..

ყველაფერი იღონა ძია სემმა, რომ დასავლეთს „დიდი სამამულოს“ ნამდვილ ისტორიაში არ ჩაეხედა, რომ დღემდე „უცნობ ომად“ დარჩენილიყო, თორემ მერე ვიღა დაიჯერებდა, რომ ქვეყანას, რომელიც მშვიდობისა და სიცოცხლისათვის ფაშიზმის ურჩხულს შეება, ახლა ომი სურს?! „საბჭოთა საფრთხის“ საფრთხობელასაც სიმართლის ქარი წააქცევდა და ველარც პენტაგონი ჩაყოფდა ხელს იდაყვამდე „საშუალო ამერიკელის“ ჯიბეში, ამიტომ „დიდ სამამულოზე“ შექმნილი ყველა ფილმი, ყველა ნაწარმოები ომის ღმერთისთვის გაწნული სილაა და დღევანდელ მარიონეტსაც მოქნეული კეტივით ხვდება!..

დრო ყველაფერს არ შლის, მისტერ სემ!

კოლტის ტუჩზე სხედან პრეზიდენტები, პროფკავშირული ლიდერები, ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლები, თქვენებური მშვიდობაც ნეიტრონის ბომბებსა და ცისკენ აღერილ რაკეტებს აწერიათ, ალბათ ამიტომ მოძველდა „დიდი სამამულო!“ მშვიდობა ჩვენი პლანეტის კეთილი დიასახლისია და ცივი ომის ყინული უნდა საბოლოოდ გატყდეს, სამამულო ომის ისტორიის გაკვეთილი კი ზოგს ჯერ კიდევ სასწავლი აქვს. იქნებ გაინტერესებთ, ვინ არიან ისინი? ისინი ის სვასტიკიანი ვაჟბატონები არიან, ვისაც კაპიტალისტური დემოკრატია ძიძად და მფარველად ევლინებათ და უნდათ, ჩექმებით მზეს შესდგნენ და ჩააქრონ!.. აფრიკაში რასისტის შოლტი ზუზუნებს, ახლო აღმოსავლეთში ისრაელმა ღრუბელს კიბე მიაყუდა, რომ არაბული ქვეყნების ცას „დავითის ვარსკვლავი“ დაჰკიდოს, პალესტინაშიც ტყვია წივის და ნასროლი ყუმბარა შიშინებს, ამიტომ არასოდეს მოძველდება „დიდი სამამულოს“ თემა! ეს კაცობრიობის ნებაა, მისტერ სემ!

ისტორიის სანაგვეზე მრავალი სახელი ყრია და იმპერიალიზმიც იქით მიბარბაცებს — ეს მიხრწნილი, ავი დედაბერიც იქ წაიქცევა!..

ულმობელია ისტორია, შეუმცდარია მისი განაჩენი!

პამფლეტისტი

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე სარედაქციო კოლეგია: ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიშნიანიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 22/I-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/III-80 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 213. უე 00638 ტირ. 160.100. Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

КОНТРОЛЬНЫЕ